წელიწადი მეცხრე.—№ 453 | პარასკევი, 13 დეკემბერი, 1874.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

ტფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ;
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: ცრუ-მორწმუნოება და ჩვეულება,—წვრილი ამბები.—„დ რ ო ე ბ ი ს“ კორრესპონდენცია: თელავიდამ,—გორიდამ.—რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები.—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი,—ესპანია.—ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა მ: დავით ნარინის მეფობა იმერეთში.—ასორ-ნესტორიანები.—ნ ა რ ე ვ ი.—განცხადებანი.

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი: „მკვდრის სულის მოძებნა“—ლეონ დადიანისა.

# საქართველო

## ცრუ-მორწმუნოება და ჩვეულება

ვისაც კი განათლებულად მიჩნია ჩვენში თავი, ვისაც ორიოდე ანბანი უ'წავლია, ყველა იმას ჰყვირის, რომ ჩვენი ხალხი ცრუ-მორწმუნე არისო, ბევრი ისეთი უხეირო და შეუსაბამო ჩვეულება აქვსო, რომელსაც ძირიანად ამოფხვრა და მოსპობა ეჭირებაო; თუ ეს ჩვეულებანი და ცრუ-მორწმუნოებანი არ მოისპო, ისე ჩვენი ხალხი განათლებისა და წარმატებისაკენ ნაბიჯს ვერ წასდგამსო.

ზოგი ამ გვარი ცრუ-მორწმუნოების მტერი ცრუ-განათლებული იქამდინ მიდის, რომ ბრძნულად ამტკიცებს, ქართული კაბის ჩაცმა და თავ-საკრავის დახურვა გაუნათლებლობის და ცრუ-მორწმუნოების ნიშანიაო.

ამისთანა აზრები ახლა მოდაშია.

და მოდის მიმდევარი ქართველობა მამრობითი და განსაკუთრებით დედრობითი სქესისა გულ-მოდგინეთ ასრულებს ამ მოდის მოთხოვნილებას: საჩქაროთ იხდის ქართულ თავხურვას, კაბას და ევროპიულად აკმაზება: ლეჩაქისა და თავ-საკრავის მაგიერ—შლიაპა, სარტყლის მაგიერ—კორსეთები, ჩვენებური ჩოხის ნაცვლად—რუსული სერთუკი, ქუდის მაგიერ—ფურაშკა, ნაბდის მაგიერ—პალტო!

ყველა ძველებურ ჩვეულებას ვტოვებთ და ვითომც ახალს წესებს ვითვისებთ; მამაპაპური გმირული კეთილშობილების მაგიერ—ახალი, უფრო პრაქტიკული ხასიათები გვიჩნდება....

— ახალი დროება ამას თხოულობსო, ამბობენ.

უკაცრავად ნუ ვიქნები, და ახალი დროება კი არა, ამას მხოლოთ ჩვენი მეტიჩრობა მოითხოვს.

ახალს დროებას თავის დღეში არ მოუთხოვნია და არც მოითხოვს, რომ მაინცა და მაინც ეს და ეს ტანთ-საცმელი ჩაიცვითო, რომ ძველი ხასიათები და ჩვეულება, რომელშიაც ცუდი და მავნებელი არავისთვის არა არის რა, გადააგდეთ და მათ ნაცვლად, რაც უნდა უმსგავსო იყოს, ახალი შემოიღეთო.

ახალი დროება თავის დღეში არ მოითხოვს, რომ ყველა ხალხებს ერთი და იგივე ტანთ-საცმელი, ერთი და იგივე ჩვეულება და ხასიათები უნდა ჰქონდესო.

ახალ დროებას, ახალ განათლებას ძალიან კარგათ ესმისთ — თუ რა მნიშვნელობა აქვს ყოველი ხალხისათვის იმათ განსაკუთრებულ ხასიათს, თვით ცრუ-მორწმუნოებასა და ცხოვრების წესსა.

იცით, რა დაამტკიცა ამ ახალმა დროებამ და სწავლამ?

ის, რომ ხალხი, რომელიც თავის განსაკუთრებულ ჩვეულებას, ხასიათს, ცხოვრებას, ერთის სიტყვით, თავის ნაციონალურ ხასიათს იცვლის და სტოვებს, ის ხალხი დაღუპულია, ის ერი მალე ამოიხოცება და გაილევება დედა მიწის ზურგზედაო.

ჩვენ არა ვართ თაყვანის-მცემელნი და დამცველნი ყველა იმ ცრუ-მორწმუნოებისა, რომელნიც ასე უხვად დარჩენილან საზოგადოთ ჩვენს ხალხში და განსაკუთრებით იმერეთში; რასაკვირველია, მკითხავებს და მარჩიელებს არ დავიცავთ, რომელნიც მდაბიო ხალხს ატყუებენ და ალატაკებენ.

მხოლოთ იმას ვამბობთ, რომ ხალხს თავის ხასიათი, თავის ჩვეულება, ფერი, ერთი სიტყვით, თავის საკუთარი სახე უნდა ჰქონდეს, რადგანაც იმათ მოსპობას არცერთი ნამდვილად განათლებული ხალხი არ ცდილობს.

რა დააშავა ჩვენებურმა ჩოხამ, ჩვენებურმა ახალუხმა, ქუდმა, თავ-საკრავმა? რითია სხვა თამაშობაზე ნაკლები ჩვენი ბურთაობა, ჭიდაობა, ფალავანდობა, ჯირითობა?

რითია დასაძრახისი ჩვენი ქართველობა, რომ ვიცვლებით, რომ სხვა ტომად გადაკეთება გვსურს?

ცვლილება გვჭირია, მაგრამ ისეთი კი არა, რომელიც თან ჩვენს გაუფერულობას, ჩვენს გაქრობას მოიტანს...

ს. მესხი

---

წასულ კვირას, დეკემბრის 8-ს, ახლად ამორჩეულ ქალაქის დეპუტატებს კრება ჰქონდათ, რომელზედაც ქალაქის მოთავე უნდა ამოერჩიათ. სამი კანდიდატი ამოჩნდა ამ საპატიო თანამდებობისათვის: ძველი მოთავე—თ. იაზონ თუმანოვი, ი. ნ. ხანჯიევი და პ. ქ. მამაცოვი. თუმცა სხდომის თავს-მჯდომარემ კრებაში წაიკითხა თ. თუმანოვის წერილი, რომელშიაც თხოულობდა, რომ აქათ ვარ და განმათავისუფლეთ ქალაქის საზოგადო სამსახურიდგანაო; მაგრამ დეპუტატებმა მაინც უყარეს კენჭი და ხმის უმეტესობით ის შეიქნა ამორჩეული. (67 ხმაში თუმანოვს—41 თეთრი კენჭი ჰქონდა, ხანჯიევს—34 და მამაცოვს—26).

ამორჩევის შემდეგ კრებამ დეპუტაცია გაუგზავნა თუმანოვს სათხოვნელად, რომ აესრულებინა ქალაქის დეპუტატების სურვილი.

გუშინწინ არა-ჩვეულებრივი კრება იყო ქალაქის დეპუტატებისა და თავს-მჯდომარემ გამოაცხადა, რომ თ. თუმანოვი დათანხმდა და ჩვენი ქალაქის მოთავის თანამდებობა იკისრაო.

* * *

გაზეთს „კავკაზში“ ამას წინათ უშველებელი ასოებით იყო დაბეჭდილი, რომ 17 ნოემბერს ყვირილიდამ ქუთაისის რკინის გზის სტანციამდი გელათის ქვა-ნახშირით მივიდა მატარებელიო.

მას აქეთ ამ გაზეთის მოწინავე სტატიების მკითხველებს (თუ კი მოიპოებიან ამისთანა მკითხველები დედამიწაზე) მოსვენება არა აქვთ: ყოველს ნომერში სამ საჟენიანი მოწინავე სტატია იბეჭდება, რომელშიაც მჭევრ-მეტყველურად ამტკიცებენ, რომ ქვა-ნახშირს დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის წარმატებაშიო, რომ ეს გელათის ნახშირის პირველი ხმარება ეპოქას შეადგენს კავკასიის ცხოვრებაშიო და სხვ.

რათ არის გასაკვირველი, რომ გელათის ქვა-ნახშირით 28 ვერსი გაიაროს რკინის გზის მატარებელმა? განა ეხლა აღმოჩნდა, რომ ტყიბულაში, გელათთან და საზოგადოთ ოკრიბაში ქვა-ნახშირია და ქვა-ნახშირს იმნაირი თვისება აქვს, რომ წყალს ადუღებს და იმის ორთქლის ძალით მაშინები მოძრაობაში მოდიან?

* * *

უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო რჩევის აზრით გადაწყდა, რომ, ლიფლანდიის, ესტლიანდიის და სტავროპოლს გუბერნიებისა და აგრეთვე კუბანის და თერგის მაზრებს გარდა, ყველგან რუსეთში პადაროჟნები მოისპობა და ფოჩტის სტანციებს ბრძანება მოუვიდათ, რომ უპადაროჟნო მოგზაურებს მიეცესთ სტანციიდამ სამგზავროთ ცხენებიო.

* * *

დუშეთიდამ იწერებიან, რომ, იქაური უეზდის უფროსის თაოსნობით, ამ ქალაქში საქალებო შკოლა გაუხსნიათ; სწავლა ნოემბრის ცხრას დაწყებულა და პირველ დღესვე 35 შაგირდს შეუყრია თავი.

იმ პირთა, რომელნიც შკოლას თანაუგრძნობენ და იმის წარმატებისათვის ზრუნავენ, შკოლის საპატიო მზრუნველად ე. ა. ზუბალოვისა ამორჩევით და მზრუნველი რჩევის წევრებად: ნ. გ. ჭილაევისა, მ. მ. ბურსკისა, ს. ა. ჩიგიანისა და ი. ე. ზუბალოვი.

---

# ფელეტონი

## მკვდრის სულის მოძებნა

ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა სადღესასწაულო ჩვეულებანი გვიმტკიცებენ, რომ ჩვენი ხალხი ბევრჯერ ყოფილა სხვა და სხვა სარწმუნოების გავლენის ქვეშ: კერპთ, ცეცხლთ-თაყვანისცემის, მაჰმადიანის და შემდეგ ქრისტიანობისა. დღეს კი ამ სარწმუნოებების დამახინჯებულ ლიტონიებს სხვა და სხვა კუთხეებში შეუფარავთ თავი და არ იკარგებიან. სამეგრელოს ერთს სოფელში ერთი ძლიერ ახირებული ჩვეულებაა: „მკვდრის სულის მოძებნა,“ რომელსაც მდიდრები ასრულებენ ერთის წლის შემდეგ მიცვალებულის დამარხვისა და ღარიბები კი ოთხისა.

15 ნოემბერს ამ 1874 წლისას მე დავესწარი ამ ჩვეულების ასრულებას: დაჰფინეს საფლავზედ ნიშანი, იტირეს დილიდამ შუადღემდე ძველი მკვდარი, შემდეგ მობრუნდენ ოჯახში და უწყალოდ დასწყვიტეს პირუტყვები. რადგანაც მიცვალებული ქალი იყო, ამისათვის მხოლოდ დედლები, ნეზვები და ზროხები დაუკლეს და თუ კაცი ყოფილიყო, მაშინ კი მამლებს, ვერძებს და ხარებს დაუკვლიდენ, სქესის შეფერებით.

როდესაც მოაწია მოხსენების დრომ, დასხდენ ერთად ქალები და კაცები და მღვდელს, როგორც სულის მოხსენებაში თავ-კაცს, პირველი ადგილი დაუთმეს. პირველი არჩივი (ულუფა) იმას მიართვეს და აქ მჯდომმა ხალხმაც ჩვეულებისა მებრ დასცა კიჟინა. მღვდელი წამოდგა და მოჰყვა:

—შვილებო, ხომ იცით, რასაც მე დღეს აქ შევსჭამ, ის იქ იმ თქვენს მკვდარს მოუვა. აქ თუ გამაძღებთ, ისიც იქ გაძღება და თუ არა და—არა!..

—ჰო ბატონო, ეგ ცხადია! ეუბნებოდა ჭირის-უფალი. შენ თუ ველარ გაგაძღეთ და მაშინ სულ არა ვყოფილვართ რა!

— იმედია, რომ მარტო ერთს ულუფას არ დააჯერებთ იმ თქვენს მკვდარს; გული შეგტკივათ, და თუ გინდათ, რომ გამოეზოგოს, მეც აქ გამოსაზოგავი მიბოძეთ!

— ჰო ბატონო! ეუბნება მასპინძელი.

და მიართმევენ ამოსარჩევათ მთელად მოხარშულ ხორცს. მღვდელი სიამოვნებით არჩევს და ალაგებს ხვირჯინში და თანაც თვალით ანიშნებს დიაკონს: „გასჭიმეო!“ მიაქვს შემხობილი ძროხის თეძო, ორივე წინა ბეჭი, გულ-ღვიძლი და თავი; ამასთანაც რამოდენიმე ცხრაპური, მისის შესაბამის ღვინით. ეს რომ გაათავა, მერე იჯრის საყოფს მიჰყო ხელი და იქაც იჯერა გული, ასეთ ასეთი ყანწები დააყოლა ზედ, რომ ჩინებულათ გამოიბრუშა.

ხალხი გულმოსული უყურებდა მღვდელსა და თანაც ჩურჩულობენ; „ეს რა სავაი რამ მოგვივიდა! ამის გაძღომას რომ არა ეშველა რა!—არ გვზოგავს, მაგრამ ნულარც ჩვენ დავზოგავთ მოხსენების დროს და „ალილოია-თალილოიას“ თქმის დროს, ერთი კარგათ გულის ჯავრი ამოვიყაროთ მაგაზე!“

ამ პირობას მუქარით აძლევენ ერთმანერთს. ადგა მასპინძელი, ე. ი. ჭირის-უფალი, და მიუბრუნდა ხალხს:

— ქრისტიანებო, ჩემო მოკეთილებო, აბა თქვენ იცით, თუ როგორ გამოძღებით, რომ ის საბრალო იქ მშიერი არ დამირჩინოთ; ღვინოც მალ-მალე დააყოლეთ ხოლმე, რომ გულზედ არ დაგადგესთ საჭმელი და იქ იმას არ ასლოკინოს, ცოდვაა!..

ამ სიტყვის შემდეგ მისცეს თვითოეულს იქ მყოფთაგანს ანთებული ჩხირის სანთელი, მოიტანეს კეცით ნაკვერცხალი და ზედ ყველა აქ მყოფთაგანი საკმეველს აყრიდა. ბოლოს როდესაც შევიდენ კარგათ სიამეში, მოჰყვენ „ალილოიას“; ეს „ალილოია-თალილოია“ სულის შენდობის ლოცვაა. ერთი ვინმე სათვალავს იტყვის და სხვები, განათ მოსძახებენ ამ გვარად: „ალილოია! თალილოაია! განსვენებისა სული მისია!.. ღმერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

გაზეთს „კავკაზს“ გაუგონია, რომ ფოთის ხიდი მალე მზათ იქნებაო. ფიცრები არის გაწყობილი და სალდათები ეხლაც გადიან ზედაო. სანატრელია, რომ ეს „მალე“ ზოგიერთების „მალე“ არ შეიქნეს, რომელიც ხანდისხან რამდენსამე წელიწადს ედარება. ამ ხიდის უქონლობა ძალიან აწუხებს რკინის გზით ფოთში მიმსვლელთ და იქიდამ წამომსვლელ მოგზაურებს...

***

ფოთიდამ გვატყობინებენ, რომ ამას წინათ ახლანდელ ქუთაისის გუბერნატორს, გრ. ლევაშოვს, გაუვლია იქ, როდესაც რუსეთში მიდიოდა, და ზოგიერთი იქაური მცხოვრებლები შეკრებილან, რკინის გზაზე მისულან და დიდის ალტაცებით გაუცილებიათ...

***

კახეთიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ სოფ. ენისელის მცხოვრებლებს სასოფლო ბანკის გამართვა განუზრახავთ. ამ ჟამად 3,000 მანეთამდი არის მოგროვებული, ზოგი ხელის-მოწერით და ზოგი გლეხებს იმ ფულებიდამ შემოუტანიათ, რომელიც გზებზე მუშაობისთვის ერგებოდათო. ამასთანავე გვაცნობენ, რომ გლეხებს პირობა დაუდვიათ, რომ შემდეგშიაც რაც ამ გზების მუშაობიდამ ფული გვერგება, ისიც ამ ბანკისთვის შევეწიროთო.

***

უფ. ი. ჯაყელი შემდეგ საგულისხმო ამბავს გვწერს ოზურგეთიდამ:

არსად არ მიდის ვაჭრობის საქმე ისე უწესოთ, როგორც ჩვენს პატარა ოზურგეთში. არავინ არ ვაჭრობს და აღებ-მიცემობს იმნაირის უწნეო და ცუდი საშუალებით, როგორც ოზურგეთის ვაჭარი. ერთს შემთხვევას გეტყვით: ერთმა მებატონემ ვაჭრისაგან 150 მანეთის საქონელი აიღო და მისცა ვალდებულობის ბარათი 15 დღის ვადით; გარდა ამ ბარათისა მისცა პირობის ქაღალდი, რომ გადაცილებულ დღეში გაძლიო ორ-ორი მანეთიო.

მას აქეთ გადის ეხლა სამი წელი. ვაჭარმა განაცხადა საჩივარი მსაჯულთან და დღეს გადაწყდა, რომ მებატონეს გადახდეს სასარგებლოდ ვაჭრისა 1560 მანეთი პირობის შეუსრულებლობისათვის და ამას გარდა ნასესხევი 150 მანეთი, სულ 1710 მანეთი. ამ ფაქტს განმარტება არ ეჭირვება....

## „დროების“ კორესპონდენცია

თელავი, 28 ნოემბერს.

მოგეხსენებათ, რომ ამას წინათ აქ შესდგა აქაური მებატონეების საზოგადო ყრილობა თელავის საქალებო სასწავლებლის თაობაზედა. ბევრი ბაასი, სჯა და ყაყანი ჰქონდათ იმაზე — თუ როგორ უნდა იყოს ეს ხსენებული სასწავლებელი გამართული, რომ შაგირდი ქალები ჰსწავლას არ მოსცდნენ.

სხვათა შორის, ერთმა იმ საზოგადოებისაგანმა წარმოადგინა თავისი აზრი ამ სახად: „მე გიშოვნით იმისთანა კაცსაო, რომელიც მოგვცემს საზოგადოებას ხუთი ათას თუმანსაო (50,000 მან.) და ამ ფულის სარგებლით კარგათ შეინახება სასწავლებელიო; რადგანაც ზოგიერთს ჩვენ მებატონეთა არ გვაქვს ნიადაგ ფულის შოვნის ილაჯიო და ამის გამო ვერ შევასრულებთ ჩვენს პირობებსაო, ამისათვის უმჯობესი იქნებაო, რომ იმ კაცს გამოვართვათ ის ფულიო და სარგებელში, ვისაც რა ღონის-ძიება გვქონდეს: პურით, ღვინით და სხვით რითიმე სულადით ისე მივსცეთ კმაყოფილებაო; და ამისთან უნდა მივსცეთ პირობის წერილიო, რომ ყოველთვისინ სალათ და ულაპარაკოთ ჩაჰბარდებოდეს ხოლმე!“

საზოგადოებამ თითქმის მოიწონა ეს აზრი და იმის გამოძიებას აღარ შეუდგნენ — თუ ბოლოს როგორ წავიდოდა საქმე და რა მოხდებოდა. ღმერთმა უშველოს იმ ეთრს საზოგადოების წევრთაგანს, რომელმაც ჩაშალა ეს აზრი. მაშინ ხომ ვერ ჰხედავდნენ იმ ფულის პატრონის მიზანს, — საქმე მაშინ იქნებოდა, როდესაც ვასპარა და მელქუა მივიდოდნენ ჩვენს მებატონეებთან: „აბა, კულუხი უნდა მოგვსცეთო!“

შემდეგ ასე გადასწყვიტეს, რომ ყველამ ოთხ-ოთხი მანეთი უნდა შაიტანოთ ამ სასწავლებლის სასარგებლოთ, ამათ რიცხვში საწყალ ქვრივ-ოხრებმაც, თორემ საზოგადოებაში ხმა აღარ ექნებათო.

ამ ნაირად საზოგადოების ხარჯზედ ოცმა ქალმა უნდა შესრულოს სასწავლებელში კურსი, ათი იქნება თელავის მაზრისა და ათიც სიღნაღიდამ; სამიც, მგონია, სახელმწიფო ხარჯზედ არიან მიღებულნი, და დანარჩენი ქალები თავიანთის ხარჯით იქნებიან, რამდენიც კი მოთავსდებიან სასწავლებელში.

ოცი ქალის მიღება გახლავსთ კენჭის ყრით და წარმოიდგინეთ, რომ კენჭიც იმ ქალებს ერგებათ ხოლმე, რომლების მშობლებსაც საკუთარის ხარჯითაც კარგათ შეუძლიათ თავიანთი ქალების აღზრდა, და საცოდავი ქვრივ-ოხრები და ღარიბები კი უკენჭოთ რჩებიან. სახეში ვიქონიოთ, რომ ფული კი ერთმევათ იმათაც, და რომლებიც თავ-თავიანთ დროზედ ვერ შეიტანენ ხოლმე, საფენს ანუ სხვა რიგად სახლის ავეჯეულობას გაუყიდიან ანუ დაუგირავებენ დუქანშია.

ამისათვისაც მთელს მაზრაში გახლავსთ შინაგანი განხეთქილება და ერთი წყევლა და ქოლვა ქვრივებისაგან. რადგანაც ამ გვარი საზოგადო საქმეები საერთო კეთილმდგომარეობისა და განათლებისათვის არის დაწყებული, ამისთვის, ჩემის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ ღარიბებისა მესამედი ნაწილი მაინც იყოს მიღებული მეკენჭეთ. თუ შეძლებულებმა ღარიბები არ გაიტანეს ზოგიერთს ამგვარ შემთხვევაშია, მაშ როგორ იქნება რომ ჩვენში საზოგადო კავშირი იქნეს?

საზოგადოთ ასეა ჩვენში, რომ ყველა ამ გვარ საქმეებში და სხვაშიაც მხოლოდ მდიდრებსა აქვსთ ხოლმე ხმა, ასე ჰგონიათ, ქონება რომ აქვსთ, უთუოდ ჭკუაც დახელოვნებური ექნებათო! რატომ ისინიც არ უნდა იყვნენ ხოლმე საზოგადო მსჯელობაში მიწვეულნი?

ეს ხსენებული სასწავლებელი ენკენისთვის ოცამდის დაკეტილი გახლდათ და ხმაც იყო, ვითომც სამუდამოთაც ჰკეტავენო. ოთხ-ოთხს მანეთს კი დღესაცა ჰკრეფავენ პრისტავები, როგორც ზემოთ ამისა გახლავსთ ნაჩვენები, იმ სახათ.

ვ. ბრეგელი.

გორი, 5 დეკემბერს.

გორი ამ ჟამად ძალიან მიყუდრულია სიცივის გამო. აქაურ კრუჟოკს (როტონდას) სძინავს; — ხანდისხან ცხვრები თუ გაისეირნებენ იმის ბალკონზედ, თორემ არის ისე დაობლებული. სამი მხრით კიბეები ჯავრიანად შეყურებენ გამვლელ-გამომვლელებს, თითქო „რათ მემდურებით, მობრძანდით, გამხიარულდითო,“ ეპატიჟებიან, მაგრამ ყველა „დრო არა მაქვსო“, ეუბნება....

ცოტა ჯარის დაყენებამ გაამხიარულა აქაურები; განსაკუთრებით გასათხოვარმა ქალებმა გამოჰკიტეს თვალები. როგორც მოგეხსენებათ, ჯარს აფიცრები მოჰყვა და ქალების სალაპარაკო საგნათ გახდნენ. ვაჭრებს მოჰხედა ღმერთმა. მარტო ფერისა და ... რილის გაყიდვით გამდიდრდებიან...

მაგრამ ამასთან აქ გაძვირდა ყოველიფერი: ორ მანეთიან სახლს ხუთ მანეთად ვერ იშოვნით; კვერცხი, ხილი, ქათამი და სხვა ამისთანა რამეები ერთი ორად გაძვირდა.... კარტის თამაში უუმაღლეს ხარისხამდი ასულა. ბარე ორი კნეინა იცემდა გუშინ წინ შუბლზე ხელს: თითო თუმანი წავაგოთ და თავს იწყევლიდნენ, თუ კვლავაც კარტი ხელში ავიღოთო.

მას აქეთ, რაც აზნაურებს გლეხები ჩამოერთვა, ამ შრომას გადაჩვეულ წოდების ბევრმა წევრმა, წინანდლური უდარდელი ცხოვრების გასაგრძნობად, ზოგან დააგირავა და ზოგან დაჰყიდა, რაც კი მამული და ქონება გააჩნდა.

მაგრამ მალე შემოელიათ და დარჩნენ რიყეზედ. — მას აქეთ ზოგიერთმა ჩვენმა აზნაურთაგანმა მიჰყო ხელი ისეთ მოქმედებას, რომლის მგზავსს წინეთ არ იკადრებდნენ. ზოგმა დაიწყო ქურდობა, რომელიც უამათოდაც ხშირია ჩვენში, განსაკუთრებით იმერეთში, ზოგმა — ცარცვა მგზავრებისა და სხ. დასამტკიცებლად ბევრი მაგალითია. ძველს ამბებს თავი დავანებოთ; მე მინდა ერთი ნამდვილი და უფრო ახალი მაგალითი მოგახსენოთ.

წარსულ კვირეებში ცხინვალის მახლობელ სოფელში, დღისით, გაუცარცვავსთ ვიღაც აზნაურებს ოთხი ცხინვალელი ვაჭარი ურია, რომლებიც თურმე რუსეთში მიდიოდნენ სავაჭროთ. ქასპის სტანციამდი ცხენებით მიდიოდნენ, გზაში გადმოიღეს ცხენებიდამ და წაართვეს 2,500 თუმანი (?).

თეოფ. ქანდელაკი

# რუსეთი

ოქტომბრის 28-ს პეტერბურღში წმ. გიორგის ჯვრის კავალერების დღესასწაული იყო. ხელმწიფეს იმპერატორის სასახლეში სადილი ყოფილა გამართული, რომელზედაც ბევრი წმ. გიორგის ჯვრის კავალერები ყოფილან მოწვეულნი და რომელზედაც ხელმწიფე იმპერატორს პირველი ტოსტი გერმანიის იმპერატორის სადღეგრძელოთ მიურთმევია: „სადღეგრძელო იმპერატორის ვილჰელმისა, რომელიც საუკეთესო მეგობარია ჩემი და თან უძველესი კავალერი ჩვენი ორდენისაო!“ წარმოუთქვამს ხელმწიფეს.

***

თო, შენდო! შენდა შეიწყალე! სული მისია შეი!.. ერთმა, რომელიც, ეტყობა, შაირობაში გამოცდილი იყო, მოჰყვა:

„დამთვრალი მოძღვარი, ეს ჩვენი მიქელი:
მუცლის კანი ასკდება, ლოყები აქვს წითელი,
ცალი ხელით ხორცსა სჭამს, ყანწზედ აქვს
ცალი ხელი.
აქ რომ ველარას ხედავს, სად ნახოს ის სოფელი.“

ხალხი (სიცილით): „ალილოია! თალილოია. განსვენებისა სული მისია. ღმერთო, შენდო! შენდა შეიწყალე სული მისია! შეი!..“

მღვდელს ეწყინა ეს და უსაყვედურა ხალხს: შვილებო, „ალილოიაში“ სხვა დროს რომ კარგი შაირები იცოდით ჩემი საამო და მიცვალებულის სასარგებლო, დღეს რა გემართებათ? ჩემი გაკიცხვა მიცვალებულსაც კი ეწყინება! არ გრცხვენიათ? სირცხვილია, შვილებო! სირცხვილია, რას ჩადიხართ? რასა სცოდამთ? პო! პო! პო! პო! პო!..“

ყურს არ უგდებენ და მოშაირე ისევ ამბობს:

„ალილოია! თალილოია, განსვენებისა სული მისია!..
თუ კი შენ არ შეგრცხვება, ჩვენ რილასი გვრცხვენია!..
ერთი ძროხა შესჭამე, მოინდომე ძღვენია...
სვავივით სჭამ, ბატივით სვამ, ხარხა დაგიფჩენია.
ჩხირის სანთლით წვერს ირუჯავ, როგორ არა გრცხვენია?“

„ხალხი (ხარხარით): ღმერთო შენდო! შენდა შეიწყალე სული მისი, შეი!..

აქ მღვდელსაც უნდა, რომ დაიწყოს, მაგრამ გულ-მოსულს, სიტყვას აღარ ანებებენ და ისევ მოშაირე ამბობს, ხალხისაგან წაქეზებული: ალილოია თალილოია!..

„ჩვენ მიქელის უხდება ხშირად ჩვენი საკაცო (კუბო)
მკვდრისას ცოცხლის გაყოლა, ღარიბები დაგვავსო.
არ გავს მღვდელს, არ გავს მგელს, ხელათ უნდა გაპარსო,
უწვერობა დაშვენდება, აღარ გვეტყვის ზლაპარსო.“

ხალხი: ღმერთო შენდო, შეიწყალე სული მისი, შეი!... (მთვრალები ბარბაცებენ).

მღვდელი. (ძლივს ფეხებზედა მაგრდება, მუცელზედ ხელებს იტყაპუნებს, ვითომ სტვირის გუდააო და თვითონ მესტვირესავით)

პიიპუ! პიპუ! პიპუ!.... პი..

„ახალ-ნაკურთხი მღვდელი ვარ, ამით შეძენას ველია...
სიკვდილს შევსთხოვე, ჩემს მრევლში რომ გამოიღოს ხელია.
ვაუკითხავათ ბებრებთან ყმაწვილსაც მოსდოს ცელია,
ვის შერჩენია სიმართლით, ულღეტად ეს სოფელია,
დღეს რაც მხედა, იმას ვჯერდები, ხვალ უფრო მეტსაც ველია!“

ჰე, დიაკონო! აბა შენ იცი!. ზალობა... ზალობა!.. (ბარბაცებს). დიაკონი. აი აქაი ამინ!.. კირი... კირილე... ისონ.., უუ!... უ!..

ხალხი (გულ მოსული). რაო? რაო? რა სთქვეს მაგათ?

— ხუცესო! თვარა შენი წყევლით არის, რომ ხალხი კვდება? კარგი, რომ შეგვიტყვია. ვაი შენს ტყავს, თუ დღეის იქით, ან ბებერი და ან ყმაწვილი მოგიკლავთ, ოთხში ამოგიღებთ და მერე შენ უფროსს მიგცემთ ხელში!“

აქ მოუვათ ერთი აყალ-მაყალი და დავიდარაბა!.. პირისუფალი სიხარულით გადგება განზედ და იძახის: ღმერთო, შენს მადლს! კარგი მოილხენაა! მგონი, უმადური არ დამრჩეს ჩემი მკვდარი!..

ასე გათავდა იმათი ლხინი და თითქმის დღე და ღამე იყრებოდა, რომ დაშორდნენ ერთმანეთს... დიდის და ერთხმიანის ღრიალით!.. „შენდო! შენდა შეიწყალე! ღმერთო შენდა! სული მისია! მიცვალების! შენდა შეი!... და სხვანი.

ლეონ ვამეხის ძე დადიანი

„მოსკოვის უწყებებში“ სწერენ, რომ მმართებლობა ახალს კამისიას აწესებს, რომლის თავს-მჯდომარედ შალუევი იქნება და რომელმანც უმაღლესი სასწავლებლების წესდებები უნდა განიხილოს.

***

პეტერბურღის უნივერსიტეტის ერთი სტუდენტი, სახელად პოლკოტიცკი, ამას წინათ დამღჩვალი უნახავთ თავის ოთახში. გაზეთები იწერებიან, ეს სტუდენტი ძალიან სიღარიბეში და გაჭირებაში იყო სიკვდილის წინა ხანებშიო.

***

შანდრინსკის უეზდის ერობას მოლაპარაკება ჰქონია იმის თაობაზე, რომ ჩვენში მღვდლები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიანო და ამის გამო მმართებლობას ვთხოვოთო, რომ იმათ ჯამაგირის მოსამატებელად ახალი გადასახადის დანიშვნის ნება მოგვეცესო. ეს საგანი ერობას ცალკე კამისიისათვის მიუნდვია განსახილველად.

***

ინჟინერის სასწავლებლის სტუდენტებს, თავის ღარიბი ამხანაგების სასარგებლოთ, ამას წინათ საღამო გაუმართავთ და, როგორც გაზეთებში იწერებიან, ამ საღამოს 4,500 მანეთი შემოსვლიათ.

***

ერთს ესტლიანდიის მემამულეს ბარონ კორფს, ამის წინათ თავის ხარჯით შკოლა გაუმართავს, რომელშიაც ყველა საგნების სწავლა ესტურ ენაზედ არის. შკოლა 25 ღარიბი კაცის შვილებისთვის არის გახსნილი, შეძლებულებს კი წელიწადში 20 მანეთს ახდევინებენ.

***

ტოტემის უეზდის ერთი სოფლის გლეხებს ამას წინათ თავის ხარჯით საქალებო შკოლა გაუხსნიათ; გლეხებს ერთმანეთში პირობა დაუდვიათ, რომ რაც შემოსავალი გვექნება მუშაობიდამ მანეთზე ერთი კაპეიკი შკოლას შევსწიროთო. პირველ დღესვე, როდესაც გახსნილა შკოლა, 52 შაგირდს გამოუცხადებია სწავლის სურვილი.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

როგორც ამას წინათ იყო ნათქვამი, ვერსალის ნაციონალურს კრებაში ჯერ-ჯერობით ისეთს საგნებზე არ იქნება სჯა, რომელთაც მაინცა და მაინც საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ყურადღების მიპყრობა შეეძლოს. მარცხენა მხრის დეპუტატებს რამდენჯერმე ჰქონიათ კრება და თითქმის ერთხმად გარდაუწყვეტიათ, რომ ჯერ მმართებლობის ფორმაზე და საზოგადოთ შინაგან პოლიტიკაზე ხმას ნუ ამოვიღებთ ნაციონალურ კრების სხდომებშიო; ჯერ კონსტიტუციურს კანონებზე ჩამოვარდეს სჯა და როდესაც ვერაფერს ვერ გაირიგებენ, ვერაფერს მკვიდრად ვერ დააწესებენ, მაშინ დარწმუნდება ყველა, რომ ეხლანდელ კრებას არაფრის გაკეთება არ შეუძლია და ჩვენს წინადადებას, რომ ეს ეხლანდელი კრება დაიშალოს, მაშინ უფრო მომეტებული საფუძველიც ექნება და საფრანგეთიც ჩვენს მხარეს დაიჭერსო.

როდესაც კონსტიტუციურ კანონებზე იქნება სჯა, მარცხენა მხარესაც მაშინ უნდა ხელ-ახლად შეიტანოს კრებაში ის წინადადება კაზიმარ პერიესი, რომლის ძალითაც თხოულობს, რომ საფრანგეთში რესპუბლიკური მმართებლობა და ორი პალატა დაფუძნდეს.

არავის იმედი არ აქვს ეხლა საფრანგეთში, რომ ეხლანდელმა ნაციონალურმა კრებამ იანვრის დამლევის შემდეგ გასძლოს; მანამდი ყველანი დარწმუნდებიანო, ამბობენ, რომ ამ კრებას არაფრის საფუძვლიანად დაწესება საფრანგეთში არ შეუძლიაო.

## ესპანია

მადრიდიდამ იწერებიან ფრანცუზულ გაზეთში, რომ მარშალმა სერრანომ ჩრდილოეთის არმიის უფროსობა (სარდლობა) იკისრაო. რესპუბლიკურ გაზეთებში ამბობენ, რომ სერრანო, რაც ღონე აქვს, ეცდება, რომ მალე დაამშვიდობოს დონ-კარლოსის მომხრეების აჯანყება.

მეორეს მხრით იწერებიან, რომ დონ-კარლოსსა და 1868 წელს ესპანიის ტახტიდამ გადმობრძანებულ კოროლევას-იზაბელას—ერთმანეთში მოლაპარაკება აქვთო, უნდათ როგორმე შეერთდენ და მერე ერთად ებრძოლონ ეხლანდელ ესპანიის რესპუბლიკის მმართებლობასაო.

მაგრამ გარემოებიდამ სჩანს, რომ ბოლოს და ბოლოს გამარჯვება კიდევ სერრანოს მმართებლობას დარჩება. ეხლა საქმე მხოლოთ იმაშია, როგორც გაზეთებში იწერებიან, თუ, ამ გამარჯვებისა და მთელი ესპანიის ხელში ჩაგდების შემდეგ, როგორ იმოქმედებს სერრანო და საბოლოოთ როგორი მმართებლობის მხარეს დაიჭერს. შეჭველიაო, ამბობენ, რომ ის რესპუბლიკელი არ არისო. მაგრამ ეხლა ესპანია ისეთს მდგომარეობაში იმყოფებაო, რომ თუ არ რესპუბლიკა, სხვა მმართებლობა იქ ფეხს ვერ მოიდგამსო.

## საქართველოს ცხოვრებიდგან

### სტატია VI

### დავით ნარინის მეფობა იმერეთში

მეფე რუსუდანმა ისე იმეფა, რომ იმერეთს მისცა ცალკე მეფის ყოლის სურვილი. ამისა გამო 1259 წელს პირველად იმერეთი და ქართლ-კახეთი მეფით გაიყვნენ ერთმანეთისაგან. ამ წელს იმერეთში მეფედ გახდა რუსუდანის შვილი ნარინ დავითი, ქართლ-კახეთში დავით სოსლანი. თუმცა იმერეთსა და ქართლ-კახეთს ცალკ-ცალკე მეფეები ჰყვანდათ, მაგრამ ერთმანეთში ომი და უთანხმოება არ მოსდიოდათ.

მეფეები ორივენი ერთმანეთს პატივსა სცემდნენ; მაგრამ ქართლ-კახეთი მონგოლებს ემორჩილებოდა, იმერეთი კი არა. მონგოლებს ლიხის მთაზე გადასვლა ეძნელებოდათ, ამისათვის იმერეთი თავისუფალი იყო და სცხოვრებდა კეთილად. ნარინი დავითი აღარ ეკარებოდა მონგოლებს. ის იყო ტანით თხელი და ზომიერი, ფერით ჰაეროვანი და მშვენიერი, თმითა თხელი, ფეხმალი, გამოჩენილი მონადირე, ენა ტკბილი და სიტყვიერი, უხვი და მდაბალი, კარგი მარჯვე ცხენოსანი, ლაშქრობაში გამგონე, სამართლის მოქმედი და სიმდიდრის შემკრებილი,—ასრე აღწერს ამ მეფეს „ქართლის ცხოვრება“ და მეც ვერწმუნები იმას, ამისთვის რომ ეს ყველაფერი იმის მოქმედებიდგანაც კარგაც სჩანს. 33 წლის განმავლობაში იმან რიგიანად იმეფა სამეფოში პირველი კაცი იყო ცოტნე დადიანი, კაცი წარჩინებული და ჭკუიანი, ჰქონდა პორტფელი პირველი ნაზირ-ვეზირობისა. ამას ისრე კარგათ მიჰყავდა სამეფო საქმე, რომ ნარინ დავითის მეფობის დროს სამეგრელოში ქურდი არსად მოიპოვებოდა. 392 კაბადონზე „ქართლის ცხოვრება“ ამბობს:

„რამეთუ იყო ესე ბედიანი დადიანი კაცი წარჩინებული ყოვლითა ზნითა, უხვი უმეტეს ყოველთა კაცთა, სრული გონიერებით; ამან დააწყვნა ოდიში, რომელ მპარავნი და ძვირის მოქმედნი არა იპოვებოდეს.“

მაგრამ იმერეთის მეფე დავით ნარინი მარტო იმერეთის დამშვიდებით არ იყო კარგი. იმას კარგი პოლიტიკური გამჭრიახობაცა ჰქონდა. იმან შეირთო ცოლად საბერძნეთის პრინცესა და იმით სახელი მეფობისა უფრო გაიდიდა. ამის გამო ბერძნები და მცირე აზიის მეფეები პატივსა სცემდნენ და კაცად აგდებდნენ; ამით ის სარგებლობდა და მონგოლებს მარჯვე დროს მტრობდა. 1268 წელს ჩინგიზ-ყაენის ერთი ნათესავი, სახელად თენგუთარი, გაუდგა სპარსეთის აბაღა ყაენს.

მაგრამ შეთქმულობა აბაღამ გაიგო და ანაზდად დაეცა თენგუთარს და დაამარცხა. ის გამოიქცა აფხაზეთში და აქედგან სთხოვა დავითს შემწეობა. დავითმა სიხარულით დაიჭირა იმისა მხარე და მოიწვია ქუთაისში, თენგუთარი აქ დიდხანს დარჩა. ამ დროს განმავლობაში მეფე დავით ნარინი ძალიან დიდის პატივით ეპყრობოდა იმას. ქუთაისში შემოსვლის დღეს იმან ძალიან დიდი ზეიმი და ნადიმი გაუმზადა:

„ხუთასსი ზროხა მოხარშული დაუდვა და ლაშქრისა გამოსაზრდელად მასვე დღესა ცხენი ექვსასი, ზროხა ათას ხუთასი, ცხვარი ორი ათასი, რომლისათვის დიდად განკვირდეს თეგუთარი და მისი ლაშქარი.“ იხ. ქარ. ცხ. 405 კ.

ამ სახით დავით ნარინი რომ თეგუთარს პატივს უყოფდა, ამისი ცოლი კიდე, ასული საბერძნეთის იმპერატორის მიხაილ პალეოლოღისა, პატივსა სცემდა თეგუთარის ცოლს და ისრე გაუშინაურდნენ და მიენდვნენ ერთმანეთს, რომ მეფე დავითი და მისი მეუღლე ზედი-ზედ მიდიოდნენ თეგუთართან და რჩევას აძლევდნენ.

აბაღა ყაენს დავითისაგან ამ გვარად მეფურეელობისა და თავშეხიზნების მიცემა იმის მტრისთვის ძალიან სწყენდა, მაგრამ ვერ უბედამდა ომს, რადგან ამ დროს მონგოლები ერთმანეთის მტრობით ძლიერ არეულნი იყვნენ. ჭკუიანი დავით სარგებლობდა იმათის შინაურულის განხეთქილებით, და აღგზნებდა იმათ შორის უფრო უდიდესად შფოთის ცეცხლსა.

1271 წელს თურანის ბარახა ყაენმა, თეგუთარის ძმამ, გამოუცხადა სპარსეთის ყაენს აბაღას ომი. აბაღამ წაიყვანა სპარსეთისა და აღმოსავლეთის საქართველოს ჯარები კასპიის ზღვის პირზე და შეება ბარახა ყაენს. ამ ომში ქართველები, როგორც სხვამის, ავანგარდს შეადგენდნენ, და თუმცა აბაღამ იმათ უთხრა, რომ უჩემოთ ომი არ დაუწყოთ, მაგრამ ქართველებმა მტერი რომ იხილეს, უკან არ დაბრუნდნენ, შეებნენ და ძლიერ დაამარცხეს. აბაღამ რომ შეიტყო, ძლიერ ეწყინა, რომ იმის ბრძანების წინააღმდეგ მოიქცნენ. ქართველებმა აუხსნეს, რომ ჩვენ ჩვეულობა არა გვაქვსო, რომ მტერი ვიხილოთ და უკან დავბრუნდეთო. ამ გვარი ჩვეულება აბაღამ საბუთად მიიღო და ქართველებს არამც თუ აღარ გაუწყრა, არამედ კიდევაც აქო ვაჟკაცობისათვის და დაასაჩუქრა.

ამ დროს აბაღას სპარსეთიდგან განშორებით ისარგებლა დავით ნარინმა, ხელ-მეორეთ აამხედრა თენგუთარი და თულაქ-დემური დე შეუსივა აღმოსავლეთის საქართველოს იმ ნაწილებში, საცა იყვნენ მონგოლები. ალათემურმა რამდენჯერმე დაამარცხა მონგოლები და ამით ძლიერ შეასუსტა იმათი ძალა საქართველოში. მაგრამ როცა თულაქ-დემურმა აღმოსავლეთის საქართველოს დაუწყო აოხრება, მაშინ დავითს ეწყინა და უღალატა თეგუთარს და მიიღო აბაღას მხარე, შეუკრა ყოველგან გზები და აღარ შეუშვა იმერეთში იმ განზრახვით, რომ მოსპოს მონგოლების უფლება საქართველოში. აბაღას ძალიან გაუხარდა და როცა ბარახა ყაენი კასპის ზღვის მახლობლივ დაამარცხა და დაბრუნდა, მაშინვე გამოემხედრა საქართველოსკენ თეგუთარის წინააღმდეგ. თეგუთარმა არ [illegible] თუ დავით ნარინი აბაღას მიემხრო და ფიცხლავ შეება. ომი მოხდა თრიალეთში. იმერლები და ქართლ-კახელები წინა-მბრძოლეულობდნენ. შემდეგ გაცხარებული ომისა დავით ნარინმა და მონგოლებმა დაამარცხეს თეგუთარი და იმისი ჯარები სრულიად გაიბნივნენ. ამ შემწეობისათვის აბაღამ დავით ნარინს დიდი პატივი სცა და როგორც ამბობს „ქართ. ცხოვ.“ 409 გვ. „ყაინმა აბაღა მრავალნი ნიჭნი და ძღვენი წარაცლინა მეფას დავითის წინაშე, და ქართლს მრავალნი, და ატენი და შემდგომნი სოფელნი მისცნა.“

ამის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე დავით სოსლანი მოკვდა და დარჩა მცირე წლოვანი შვილი დიმიტრი. ამის გამო საქართველოში მეფედ დარჩა დავით ნარინი და ისრე დაიწყო მოქმედება, რომ ჩვენს მაშინდელ გალაღებულ თავადებს ავიწროებდა და ცოტ-ცოტად ართმევდა მამულებს. ამისათვის „ქართლის ცხოვრება“ იმას „მომხვეჭველად“ უწოდებს. დავითის ეს თვისება რაჭის ერისთავს კახაბერს და მეორე თავადი-შვილს ალლარს არ მოსწონდათ და ამისთვის მოინდომეს ღალატობა (გვ. 409); მივიდნენ აბაღასთან და უთხრეს, რომ დავითმა რამდენჯერმე გიღალატა და რატომ არ გადუხდიო. აბაღას მოეწონა იმათი რჩევა და დააპირა მისი დასჯა. ამ დროს კახაბერმა უთხრა, რომ მომეცი ჯარი და მე დავიჭერ დავითსო. აბაღა თანახმა გახდა და გამოგზავნა იმერეთში ნარინ-დავითის დასაჭერად. მეფემ ამ ამბისა არაფერი არ იცოდა. ერთ დღეს ის რუა წყალზე აბანოში ბანაობდა და კახაბერი ანაზდაზ თავს დაესხა. მაგრამ მარდი დავითი მოაჯდა ცხენს და ამოვარდა ქუთაისის ციხეში კაბის ამარად.

ამის შემდეგ კახაბერი ქიშპობით შეურიგდა და ვერაგობით დაიპატიჟა, ამ დროს მონგოლები კიდევ მოიწვია და ისინი რაჭაში კიდევ ერთხელ თავს დაესხნენ; მაგრამ მეფე კიდევ გადარჩა. კახაბერი მონგოლებთან გაიქცა. „კვალად ამათ ჟამთა დამშვიდდა ქვეყანა ლიხთ-იმერი. და მოიწყო მეფემან დავით, რომელი იყო კაცი პირველ კეთილი და გონიერი, უხვი, მდაბალი და პურადი.“ ამ დროს კახაბერი ქართლში ეგდო და ორგულებისათვის არავინ პატივს არა სცემდა. „ამისათვის შეიწროებული ევედრა მეფესა, რათა შეიწყალოს (იხ. გვ. 413). მეფემ შეიწყნარა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ უღალატა მეფეს. მაშინ მეფემ ის დაიჭირა და ჯერ დაუწვა თვალები, მერე ერთი ხელი და ერთი ფეხი მოჰკვეთა და იმისი ორი შვილი კოსტანტინეპოლში დაექსორია.

ასრე ამოსწყვიტა კახაბერის გვარი. მონგოლებმა დავითი ხელში რომ ვერ იგდეს, მერე მოინდომეს შერიგება. მაგრამ დავითმა პირობით იკისრა შერიგება. ამ დროს არღუნმა მოჰკლა ქართლ-კახეთის მეფე დიმიტრი. დავითმა უთხრა, რომ თუ ჩემს შვილს ვახტანგ გაამეფებთ, შევრიგდებიო. ვახტანგი 1289 წელს არღუნ ყაენმა გაამეფა და მისცა ცოლად თვისი და; მაგრამ 1292 წელს მოკვდა. შვილის ნაღველმა მოხუცებული დავით-ნარინიც 1293 წელსთან გადიტანა. (ხილ. გვერ. 425).

ინგილო ჯანაშვილი

### ორიოდე სიტყვა აისორ-ნესტორიანებზედ.

„დროების“ მკითხველებმა უნდა იცოდნენ, რომ 1870 და 71 წელში მიიღეს აი-

სოფლებმა მართლმადიდებლობა Თფილისში და თან ჩვენ მთავრობას მიმართეს, რათა მიეცა შემწეობა და შუამდგომლობა სპარსეთის მთავრობასთან, რომ იგინი გამოეყვანათ სპარსეთის ფიცხელი და მკაცრი დევნისაგან. Ორიოდე სიტყვა მსურს ვთქვა აქ ამ ხალხზედ.

Ეხლანდელ დროში მთელი აისორ-ნესტორიანები ითვლებიან ოცდა ათი ათას სახლობამდინა (30,000); ჰსცხოვრობენ იგინი ორთავ მხრივ ქურთის მთისა, რომელიც განყოფს სპარსეთსა აზიის Ოსმალეთისაგან. Სპარსეთში, სადაცა როდისმე იყო პირველი სამყოფი ნესტორიანთა, ეხლა რვა ათასს (8,000) სახლობაზედ მეტი არ არის, რომელნიც სცხოვრებენ სხვა და სხვა სოფლებში და დაბ-ნებში გარემოს ქალაქის Ურუმისა, მახლობლად ტბისა Ურუმისავე. Აზიის Ოსმალეთში, მეორე მხარეს ქურთის მთისა, ხაკიზის სამფლობელოში ირიცხებიან ოცი ათას (20,000) სახლობამდინ.

Აქ მახლობლად ქალაქის Ჯულამერგისა, სოფელ Ოდჯალუს (აისორულად Უუდჩანუს) ჰსცხოვრობს მათი პატრიარხი, რომელსაც აქვს სახელი მარ-შიმუნ (სიმონ). Ამათ გარდა კიდევ ითვლებიან, რომელნიც ჰსცხოვრობენ მახლობლად ქ. ქ. მუსულისა, ბაღდადისა და სხ.—ათი ათას (10,000) სახლობამდინა, და რომელთაც მიიღეს ლათიანობა XVII საუკუნეში. Ესენი იწოდებიან ლათიან-ქალდეველებათ; ამათაც საკუთარი პატრიარხი ჰყავთ—მარ-Უსუფი (Იოსები).

Სპარსეთს გარდა, როგორც ევროპის მოგზაურები ამბობენ, დაშთენილნი არიან ნესტორიანნი კიდევ სხვა და სხვა განშორებულ ნაწილებში ჩინეთისა; მაგრამ რამდენი სახლობანი და სულნი არიან, ჩვენ განსაზღვრა არ შეგვიძლიან; კიდევ არიან ნესტორიანები, რომელნიც იწოდებიან ქრისტიანებად წმ. Თომასი, Ინდოეთში, მალაბარის ნაპირზედ მცხოვრებნი; მაგრამ ესენი შეერივნენ Იაკობითის ეკკლესიას, და შეიქნენ მწვალებელ (სუქტად) მონოფიზიტებათ.

Და ესე, თუ არ მივათვლით ხალდეველ-კატოლიკებს, რომელნიც მიიქცნენ ლათიანობისადმი, როგორც ვსთქვით, XVII საუკუნეში, მაშინ ნესტორიანნი მთელს ხმელეთზედ იქმნებიან ოცდა ათ ათასამდინ (30,000) სახლობა, ესე იგი, ას ორმოცდა ათი ათას (150,000) სულამდინ, მეტი არა.

Აგერ უკანასკნელნი დარჩენილნი წევრნი ეკკლესიისანი, როდისმე დიდათ განძლიერებულნი და გამრავლებულნი.

Ნესტორიანთ მწვალებლობის აღდგენა დაიწყო დასაბამ მეხუთე საუკუნესა. Მიზეზი ამა ჰერესისა (წვალებისა) იყო Კონსტანტინეპოლის პატრიარხი ნესტორი. Ნესტორს საკუთრივ მიეწერება ამა ჰერესის დაწყობა მისთვის, რომ მან გარდაწყვეტილობით განსაზღვრა და დასდო უსამართლო დოღმატი უპიროვნოდ შერევისა Იესო ქრისტეში ღვთაების და კაცობრივის პირისა. Ეს იყო მიზეზი განყოფილებისა მოციქულთ ეკკლესიისაგან მრავალის ქრისტიანებისა და იმ საკუთარის ნესტორიანთ ეკკლესიის დაფუძნებისა, რომელიც არსებს აქამომდე. Ამ გვარად ნესტორი არის ჭეშმარიტი ნათესავთ-მთავარი თვისის ჰერესისა, როგორც მაგალითებრ Ლიუტერი ირიცხება ჭეშმარიტ დამაფუძნებელად პროტესტანტის ეკკლესიისა. Როგორც ნესტორსა ჰყვანდა წინა-მავალნი: Დოვეტი, მანიხეი, პავლე სამოსატელი, Დიოდორე ატარსიელი, Თეოდორე მოპსუელი და სხვანი მრავალნი, ეგრეთვე Ლიუტერსაცა ჰყვანდნენ წინამავალნი მასწავლებელნი: Ვიკლეფი, Გუსი, Იერონიმე და სხვანი.

Სწავლა ნესტორისა იყო განხილული წმ. Კირილე Ალექსანდრიელისაგან და შემდეგ შეიქნა განკიცხულ მესამე მსოფლიო კრებისაგან, რომელიც იყო მოწოდებული Ეფესოს ქალაქში 43 წელსა.

Მაგრამ მსოფლიო კრების მკაცრმა აღკრძალვამ და მორწმუნეთა თორმეტთა შეჩვენებამ წმ. Კირილესაგან, ვერ დააყენა ახალი ჰერესის გავრცელება მესოპოტამიაში, სირიაში და საზოგადოდ Აღმოსავლეთში, სადაც ნესტორი იყო ნაშობი და ყველასაგან ნაცნობი; როგორც კაცი სწავლული და ფიცხელი ცხოვრებითა, მან დაიმსახურა დიდი პატივი თვის მემამულეთაგან და ამით გაამრავლა თავის სწავლის მორწმუნენი.

Მეხუთე საუკუნის დასასრულ მოწოდებული იყო დიდი ნესტორიანთ კრება, სადაცა დაამტკიცეს ყოველი ცდომილება ნესტორისა და ყოველი გამოცვლილება ეკკლესიური წესისა. Ამ კრებაში ნესტორიანთ ეპისკოპოსი სელევკისა, სახელათ ბაბა, იყო სრულებით აღმორჩეული პატრიარხად ნესტორიანთ ეკკლესიისა და იწოდა პატრიარხი სრულიად აღმოსავლეთისა. Ეს წოდება ეკუთნის მხოლოდ Ანტიოხიის პატრიარხსა აქამომდე, და არა ნესტორიანებსა.

Ამის შემდეგ ნესტორიანობა დიდის სიჩქარით განვრცელდა სრულიად საშუალო და სამხრეთის Აზიაში; დასაბამ მექვსე საუკუნეში ნესტორიანები შემოგვხვდებოდნენ Ინდოეთში, ჩინეთში, ბედნიერ Არაბეთში და სხვა ადგილებში. Ამ სწავლას თავისუფლობით უქადაგობდნენ, როგორც ჩინეთში, ისე სპარსეთში,—არა თუ მარტო ხალხსა, არამედ სახელმწიფო კარებზედაც. Მეშვიდე საუკუნეში, როდესაც აღმოსავლეთში მაჰმადის სწავლა იყო გაცხარებული, ნესტორიელებმა მოასწრეს დასამსახურება ახალის აღმოსავლეთის მბრძანებელისა. Თვით მაჰმადი იყო მათთანა მწყალობელის თვალით, და მიანიჭა მათ შემსუბუქება და უფლება, და არც ძალას ატანდა რჯულის დატევებისას.

Გარდმოცემა ნესტორიანთა გვეუბნება, რომ ის ნაწილნი თვისის სწავლისა, რომელნიც ქრისტიანობის ცნობასა და გამოხატულობას დაემსგავსებიან, მაჰმადმა გამოიკვლია ნესტორიანთ წერილთაგანო. Შემდეგნი მოადგილენი მაჰმადისა და Არაბეთის ხალიფნი უცქეროდნენ ამ პატარა საზოგადოებას, განშორებულს მართმადიდებლობიდგან, ბედნიერის თვალით მისთვის, რომ ეს აისორები არიან ტკბილნი ენისა ხალხნი, რითაცა იყვნენ მიღებულნი ყოველს ადგილზე და ეჭირათ წარჩინებული თანამდებობანი.

(დასასრული შემდეგ №-ში)

## ნარევი

Ამ ხანებში პარიჟში გამოვიდა იქაური გაზეთების კატალოგი, რომლიდამაც სჩანს, რომ 1874 წლის განმავალობაში პარიჟში სულ 754 გაზეთი გამოდიოდა. Ამ რიცხვიდამ 53 გაზეთი Ღვთის-მეტყველებისაა, 63 იურიდიკული საგნებისა, 10 გეოგრაფიისა და ისტორიისა, 56 საამო საკითხავი, 25 სახალხო განათლებისა და პედაგოგიური, 53 სალიტერატურო და სხ. Ყოველ-დღიური საპოლიტიკო გაზეთის რიცხვი 37.

* * *

Ერთს ფრანცუზულს გაზეთში აწერილია ეხლანდელი Იაპონიის პერიოდული (დრო-გამოშვებითი) ლიტერატურის მდგომარეობა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ Იაპონიაში ამ ჟამად 18 გაზეთი და ჟურნალი გამოდის და რამდენიმე იმათგანი ყოველ დღე იბეჭდება.

* * *

Პარიჟში ყოფილა ამას წინათ მუნჯების ბანკეთი, რომელზედაც იქაური სამუნჯო შკოლების მასწავლებლები და ბევრი სხვა გარეშე პირებიც ყოფილან შეკრებილნი. Სადილის დროს ერთს მუნჯს წარმოუთქვამს სიტყვა—უკაცრავად: ხელებით უნიშნებია—და აუხსნია იქ დამსწრეებისათვის, თუ მუნჯების შკოლებს რა მნიშვნელობა აქვს და როგორ სასარგებლო არის კაცობრიობისათვის. Ბოლოს ყველას გადაუწყვეტია, რომ ყოველ წელიწადს შეეყაროთო და სამუნჯო შკოლების დამაარსებელის, Ლ—ეპეს დღეობა ვიდღესასწაულოთო.

* * *

Ერთს მოსკოვის ქუჩაზე ამას წინათ, მთელი კვირის განმავალობაში, დილიდამ საღამომდი საშინელი ხალხის გროვა და ერთი ამბავი იყო თურმე. Ამის მიზეზი ის გარემოება იყო, რომ ვითომც ერთს სახლს ამ ქუჩაში მავნე სული შემოსჩვეოდეს და მცხოვრებლებს მოსვენებას არ აძლევდეს. Სახლის მდგმურები ლაპარაკობდნენ, რომ დაღამდება თუ არა, ოთახებში ერთი ფეხების ბაკუნი, ფანჯრების მტვრევა და რახარუხი შეიქნებაო.

Ამ ამბავმა ხალხი ააშფოთა და საქმე იქამდინ მივიდა, რომ პოლიციის დახმარება საჭირო შეიქნა: სახლის მდგმურები გამოიყვანეს და ორ ღამეს პოლიციის პრისტავმა გაათენა ამ სახლში. Მავნე სულებმა თითქო აგრძნეს პოლიციის სუნი და ველარ გაბედეს გამოჩენა. Მესამე ღამეს პრისტავს მოსწყინდა აქ წოლა, შინ წავიდა და თავის მაგივრად სალდათი დააყენა. Მავნე-სულებმა ძველებურად დაიწყეს შფოთვა: საიდგანღაც მოდიოდა აგურები, ფანჯრებს ხვდებოდა და ამტვრევდა.

Ეხლა ამ სახლიდამ პოლიციის განკარგულებით ყველა მდგმურები გამოუყვანიათ და ცარიელი დაუტოებიათ. Მავნე-სულების წასვლას უცდიან...

* * *

Ურალის ერთი სოფლის მცხოვრებლებს ერთი მოხუცებული ქალი კუდიანათ მოსჩვენებიათ და ვიღაცას ურჩევია იმათთვის, რომ თუ გინდათ ნამდვილად შეიტყოთ — მართლა კუდიანი თუ არა. კირგათ სცემეთ; თუ სისხლი გამოდინდა, არ ყოფილა კუდიანი და თუ არა — ყოფილაო. Მცხოვრებლებს დაუჭერიათ საწყალი დედაბერი, ბევრი უცემიათ, მაგრამ სისხლი არ გამოდენია. Ბოლოს მოკლას უპირებდნენ თურმე, მაგრამ ამ დროს პოლიციას მიუსწრია და როგორც იყო დაუხსნია.

## განცხადებანი


**КОММЕРЧЕСКОЕ СТРАХОВОЕ ОТЪ ОГНЯ ОБЩЕСТВО**

**თფილისის აგენტი**

ცეცხლისაგან საზღვეველი კომმერციული საზოგადოებისა

ამ საზოგადოების გამგეობისაგან კავკასიის აქეთა მხრის მთავარ (ღენერალურ) აგენტად დაინიშნა.

Ვაუწყებ რა ამას იმ პირთა, რომელთაც ჰსურთ თავიანთი მოძრავი და უძრავი ქონება ზემო აღნიშნულს საზღვეველის საზოგადოებაში შეიტანონ, პატივი მაქვს განვაცხადო, რომ საზღვეველად შეტანა შეიძლება: 1) აგენტსტვოს კანტორაში, სასახლის მოედანზე, ს. ი. შაბუროვის სახლებში, 2) მოედანზე, შადინოვის ქარვასლაში და კუკიაში მიხაილოვსკის ქუჩაზე,—ქალაქის სამკურნალოს პირდაპირ, ალიხანოვის სახლებში.

Ღენერალური (მთავარი) აგენტი

ვ. ა. დუკელსკი

Დაიბეჭდა და გამოვიდა მოძრავი ასოები. Სრული ანბანი, ზოგი ასოები განმეორებით ერთს ფურცელზედ არის დაბეჭდილი. Ყიდვა შეიძლება Თფილისში: „Დროების" კანტორაში, Ივანოვის ბიბლიოთეკაში, Ექვთიმე Ხელაძის სტამბაში, Ვართანოვის მაღაზიაში. Ქუთაისს, Ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში, Ოზურგეთში: Კაკაბა Ბოგვაძის დუქანში. Სხვა ქალაქებიდამ უნდა დაიბარონ შემდეგი ადრესით: Въ контору редакціи газеты „Дроэба."

Ფასი ერთი შაური.


Დიდს ასოებზედ ყმაწვილი უფრო ადვილად გაარკვევს ასოების გამოხატულებას, დიდ ასოებზედ გავარჯიშებული თვალი უბრალო შრიფტით ნაბეჭდს უფრო ადვილათ წაიკითხავს, რასაკვირველია; ამის გამო ჩვენის აზრით პირველათ ეს ანბანი უნდა მოიხმარონ შკოლაში, ვიდრე სხვა. Ეხლა ყველამ უნდა იცოდეს, რომ დაწყებითი წერა-კითხვის სწავლა პირველათ ხმით სიტყვების ასოებათ დაყოფით და ასოებითგან სიტყვების შედგენით იწყება. Ე. მეტოდა საუკეთესოთ მიაჩნიათ ყველა შკოლებში; შემდგომ კითხვის სწავლა [illegible] ბინებენ ყმაწვილს; მაშინ [illegible] ანბანზედ, მოძრავ ასოებზედ, უნდა აჩვევდეს თვალს ყმაწვილი და როცა სხვა და სხვა მარცვლოვან სიტყვების წაკითხვა შეეძლება, ოსტატს მეტი აღარაფერი ურჩება, გამოარჩევს პატარა სტატიებს Გოგებაშვილის ანბანში და წაიკითხავს.

Ამასთანავე უნდა დაუმატოთ, რომ წიგნიც კარგია, მოძრავი ასოებიც უცხოა, მაგრამ ყველაფერს ოსტატურათ მოხმარა სჭირიან. Დღეში ორი, სამი, ბევრი-ბევრი ხუთი ასო, რომ ასწავლოთ საკმარისია. Ბევრი ასოებით ყმაწვილს თვალი არ უნდა აურიოთ. Მოთმინებით სწორს და შორს გზაზედ მიმავალი უფრო ადრე მიახწევს მიზანს, ვიდრე გადახვეულს და უსწორმასწორზედ.

### სამი თვის ანგარიში თიონეთის გამსესხებელ შემნახველის ამხანაგობისა

1-ი სექტემბრიდამ 1-ს დეკემბრამდე 1874 წლისა

Ამხანაგებთა ირიცხებიან 182 პირნი.

**1, შემოსავალი:**

ა., Ამხანაგობისაგან არის შემოტანილი წილის ფული . . . 2581 მ.—80 კ.
ბ., სარგებელი აღებული გასესხებული ფულისაგან . . . . 162 მ.— „
გ., სესხი . . . . . . . 1150 მ.— „

სულ . . . 3893 მან. 80 კაპ.

**2, გასავალი**

ა., გასესხებული . . . . 2700 მ.— „
ბ., დახარჯული გამგეობის გამართვაზედ . . . . . . 196 მ.— 80 კ.

სულ გასული . . 2896 მ. 80 კ.

**3, კასსა**

ა., შეტანილი არის Თბილისის სავაჭრო ბანკში სარგებელზედ 27 ნოემბრიდამ ამა წლისა . . . . . . 800 მ. — „
ბ., ნაღდი ფული არის კასსაში 397 მ.— „

სულ . . . . . 1197 მან. — „

გამგებელნი . . . ვ. Დოდაევი. პ. Ბაქრაძე. თ. Ლ. Ჯანდიერი.

### ბიბლიოგრაფიული ცნობა.

Დაიბეჭდა და მოკლე დროში გამოვა გასასყიდათ „საყმაწვილო კონა" ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებიდგან, პირველი ნაწილი, შედგენილი Ი. Გოგებაშვილისაგან.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Декабря 1874 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.

## გაზეთის „დროების“ გამოცემა

### 1875 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალს მარტში შესრულდება ცხრა წელიწადი მას აქეთ, რაც „დროება“ დაარსდა.

როგორც ყოველთვის ყოველს ახალს საქმეს ემართება ხოლმე, გაზეთსაც ისე დაემართა: „დროების“ დაარსებისათანავე გამოჩნდნენ ისეთნი პირნი, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ „ჯერ რა დროს გაზეთია ჩვენთვისაო? ჯერ ანა-ბანა არ ვიცითო! ვინ ქართველი და ვინ გაზეთიო!“ და სხ. და სხ.

ცხრა წლის არსებობით, „დროებამ“ აშკარად დაუმტკიცა ამ იმედ-დაკარგულებს, რომ ისინი შემცდარი იყვნენ, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის გაზეთი თითქმის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. მარტო. ხელის-მომწერლების სიაც გვიჩვენებს, რომ გაზეთის მკითხველების რიცხვი ყოველ წელიწადს თან და თან მატულობს; ვისაც ერთ წელიწადს დაუბარებია გაზეთი, მეორე წელიწადსაც გამოუწერია, რადგან გაზეთის კითხვა იმისთვის საჭიროებად შექმნილა. კორესპონდენციების სიმრავლე, ურიცხვი წერილები, რომელიც რედაქციას მუდამ მოსდის, ჩივილი, როდესაც გაზეთი, რომელისამე შემთხვევით, ერთ-ორ დღეს დაიგვიანებს,— ყოველივე ეს აგრეთვე გვიმტკიცებს საზოგადოების ინტერესს და გაზეთის საჭიროებას.

ამ გარემოებით წახალისებული რედაქცია მომავალი, 1875, წლიდამ **კვირაში სამჯერ გაზეთის გამოცემას** შეუდგება.

ჩვენის აზრით, ეხლა ჩვენთვის ისეთი დრო დადგა, როდესაც მიყრუებულ, განდგომილ და განცალკევებულ ცხოვრებას თავი უნდა დავანებოთ. დრო, გარემოება, ჩვენი საკუთარი მდგომარეობა და სარგებლობა თხოულობს, რომ კაცობრიობის საზოგადო ცხოვრებაში გავერიოთ; რომ ამ საზოგადო ცხოვრების მსვლელობას დავაკვირდეთ და თვალ-ყური ვადევნოთ. ამაზე უფრო საჭირო კიდევ ის არის, რომ ჩვენი საკუთარი ცხოვრება და ვითარება გავიცნათ. საჭიროა შევიტყოთ—რომელი შესანიშნავი და ყურადღების ღირსი ამბავი ხდება მუდამ დღე განათლებულ ქვეყნებში, და განსაკუთრებით ჩვენი პატარა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში.

ცხრა წლის მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენს მკითხველ საზოგადოებას მალე, თავის დროზე, ამბებისა და ცნობების შეტყობა უნდა.

ამის მოხერხება მხოლოთ ისეთ გამოცემას შეუძლია, რომელიც კვირაში რამდენჯერმე გამოდის, და რომელშიაც ყველა შესანიშნავ მოვლენასა და ამბავს ადგილი ექნება.

აი, ეს იყო ჩვენი უმთავრესი ხელმძღვანელი აზრი, როდესაც კვირაში სამჯერ გაზეთის გამოცემა განვიზრახეთ.

სხვა და სხვა, ხშირად რედაქციისაგან დამოუკიდებელ, გარემოებათა წყალობით, ხანდისხან ისე ვერ მიგვყავდა გაზეთის საქმე, როგორც რიგია და როგორც გვსურდა. იმედი ვქონიოთ, რომ, რედაქციისა და მკითხველის სასიამოვნოთ, ეს დამაბრკოლებელი გარემოებანი და მიზეზები თან-და-თან მოისპობა. ამ იმედით ვიწყებთ, ანუ უკეთ ვსთქვათ, ვაგრძელებთ მომავალი წლიდამ ჩვენს შრომასა.

რაიცა შეეხება თვითონ გაზეთის წაყვანას, ვიტყვით, რომ, სხვათა შორის, მომავალი წლიდამ უმთავრესი ყურადღება გაზეთის ლიტერატურულ ნაწილს მიექცევა. კვირაში სამჯერ გაზეთის გამოსვლა ნებას მოგვცემს, რომ ფელეტონებს, მოთხრობებს, რომანებს და საზოგადოთ ბელეტრისტიულ ნაწილს უფრო ვრცელი ადგილი დაუთმოთ, ვიდრემ დღემდი უთმომდით.

ამ მხრით უმთავრეს შემწეობას ორი ჩვენი საუკეთესო ახალგაზდა მწერლისაგან—ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისაგან მოველით, რომელთაც გაზეთში თანამშრომლობა აღგვითქვეს.

ამას გარდა, სხვა ჩვეულებრივ გაზეთის ნაწილებს მამავალი წლიდამ **სავაჭრო განყოფილება** მოემატება, რომელშიაც იქნება სხვა და სხვა ბეჯითი ცნობანი როგორც ჩვენს აგრეთვე უცხო ქვეყნების ვაჭრობაზე, ალებ-მიცემობაზე, მაზანდაზე და სხვ..

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—8 მან., ექვსი თვით—4 მან. და 50 კაპ.

**დაბარება** ამ ადრესით უნდა: Въ Тифлисъ. Въ Редакцію газеты „Дроэба“